ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №26

აბაშა, 2021 წლის 29 მარტი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების №25 ოლქის, აბაშის, მარტვილის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ალექსანდრე მოწერელიას ბიუროს ფუნქციონირებისათვის, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 52-ე მუხლისა და 180-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლისა და 24-ე მუხლის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

1. მიეცეს თანხმობა აბაშის მუნიციპალიტეტის მერს, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადასცეს: №25 ოლქის, აბაშის, მარტვილის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ალექსანდრე მოწერელიას ბიუროს ფუნქციონირებისათვის (ს/კ:205427901), მისი ფუნქციონირების ვადით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №40.01.34.014) მე-2 სართულზე 3 (სამი) ოთახი სასარგებლო ფართით 58.3 კვ.მ. საწყისი საპრივატიზებო საფასურით 48400.00 (ორმოცდარვაათასოთხასი) ლარი.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247).
3. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: მ. კვიტაშვილი